



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1228  
20/06/2018

ქალაქი ბათუმი

1228-05-4-201806201737



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბეჭდის გამოყენებაზე უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„ქვეყანაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის №224 განკარგულებით დამტკიცდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარეობს ბიფეტრინის შემცველი ინსექტიციდისა და ფერომონის მეშვეობით ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ჩატარებული სამუშაოების მოცულობისა და დახარჯული მასალების აღრიცხვა განხორციელდა შესაბამისი უწყისის გაფორმებითა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულ ერთეულთან ურთიერთობის განყოფილების III და VI რანგის I კატეგორიის უფროსი და უმცროსი სპეციალისტების ხელწერით, რომელის დადასტურებაც უნდა მოხდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბეჭდით.

ყოველი ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 19 მარტის №25 განკარგულებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის რეზო ვარშანიძის 2018 წლის 13 ივნისის №1699-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვებრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულ ერთეულთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტების (შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულთან ურთიერთობის საკითხებში) და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულ ერთეულთან ურთიერთობის განყოფილების IV რანგის I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტების - (შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულთან ურთიერთობის საკითხებში) მიერ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ჩატარებული სამუშაოების მოცულობისა და დახარჯული მასალების აღრიცხვის უწყისი დადასტურებული იქნეს ხელმოწერით და დაესვას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბეჭდი.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურს (მირზა ბახტაძე).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

